

**კვლეპცია:** სოლოლაკზე, ბ.ღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43  
**კანტორა კვლეპციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მომწერა:** მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тип. днѣ. ВЪ редакцію газ. „Дробица“.

**გაზეთის უსანი:** მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**უსანი განცხადებინა:** დიდი სი-კბით ასაზე—4 კაპ., ასა-მთავრებულს სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივს ცირკოთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**კვლეპციას უფლება** აქვს გა-სწორს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## „დროებაზე“

ამ პირველი ივლისიდან ვიდრე 1878

წლის პირველ იანვრამდე

მიიღება თვილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

**უსანი ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.**

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Тип. днѣ. ВЪ редакцію газеты „Дробица“.

## ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

**პეტერბურლი,** 25 ივლის. დაწერილ-ბითი ამბავი პლევენის საქმეზედ ჯერ არ არის. ჩვენი ჯარები იქ თავიანთ ალაგებზედ დარჩნენ. დიდი ზიანი მოგვეცა; 5,000 კაცამდინ არის დახოცილი და დაჭრილი. **ორი** სიმაგრე ავიღეთ ჯერ პლევენისა, მაგრამ საღამოს ისევ იძულებული ვიყავით მიგვეტოვებინა. ჯარი მხნეთ არის.

პლევენა და ლოჩია ძალიან გამაგრებულია ოსმალოებისაგან.

**ღენ.** ბერკომ გააფუტა იამბოლისა და ჩილიპოპოლის რკინის გზა. 18-სა და 19-ს დაამარცხა სულეიმან-ფაშის ატრიადი მსკი-ზაგრთან და გადავიდა ბალკანზე.

შუმლისაკენ ჯერ არაფერი ამბავი არ არის.

**რაზბრადი,** 22 ივლის. ოსმან-ფაშას მოუყიდა პლევენაში 4,000 კაცი ალბანის ცხენოსანი ჯარი.

**ბუსარმსტი,** 22 ივლის. რანოვოსა და პეკეტს შუა განუწყარებელი ზარბაზნის სროლაა.

**სტამბოლი,** 23 ივლის. ოსმალოს მმართველობამ აქაურს ქრისტიანებს წინადადება მისცა, რომ შეადგინონ მილიცია, არეულები დროს, მშვიდობიანობის დასაცველად.

**ლონდონი,** 22 ივლის. ამბობენ, მიტქხანდ-ფაშა იმ განზრახვით მოვიდა ლონდონში, რომ ოსმალოეთისათვის სესხის აღება მოახერხოს.

საბერძნეთი თავის ჯარის ერთს ნაწილს სამხედვარზე აგროვებს.

**ლონდონი,** 23 ივლის. გაზეთი „Times“ ამბობს, რომ 11 აგვისტოს (30 ივლისს) ხმელთა-შუა ზღვაში კიდევ 3,000 კაცი უნდა გაგზავნოს ინგლისმაო.

რუსის არმიაში მყოფი აესტრიის სამხედრო აგენტი წავიდა ბელიადამ. ამბობენ, რომ ამას რაღაც წინადადება მაქვს აესტრიის იმპერატორთანაო.

შვეიცის მმართველობა საომრად ემზადება.

## ორის აზვები

აზიის ბრძოლის ველიდან

ალექსანდრპოლიდამ ეს ერთი კვირა მეტია, არაფერი ამბავი აღარ მოდის. **ორივე** მებრძოლი მხარე თავიანთ ბანაკებში დამდგარან შორიდად შესხერვებიან ერთმანერთს.

ჭურუქ ღარაში გაჩერებულ ჩვენ ჯარს, როგორც მოგეხსენებათ, ერთი დღიზია ახალი ჯარი მოემატა რუსეთიდან; ამბობენ, კიდევ ორი დღიზია მოდისო. აი მაშინ დაიწყება საქმე, როცა ყველა ეს ახალი ჯარები მოემატება ლორის-მელიქოვის კორპუსს...

მაგრამ ყველას ის გარემოება აკვირვებს—თუ რა უცდის, რას აკეთებს მუხთარ-ფაშა? უბრალო მოსაზრება გვეუბნება ჩვენ, რომ ის ამდენ ხანს ტყუილუბრალოთ არ უნდა გაჩერებულიყო შარსთან, პირ-და-პირ რუსის ჯარისაკენ უნდა გამოეწია და თავს-დასხმოდა იმას სანამ ახალი ჯარი მოუყიდოდათ, სანამ დაისვენებდნენ და ახალ ძალას შეიძენდნენ. ამის მაგიერად ის გაჩერებულა შარსის მახლობლად.

იქნება ისიც ახალ ჯარს ელოდებოდეს? მაგრამ, ამბობენ, რომ იმის ხელქვეით ახლაც 50,000 კაცამდინ ჯარი არისო და ეს ჯარი ძალიან კარგათეყო-

ფოდა იმ თავით ლორის-მელიქოვის ჯარის თავს-დასაცემად...

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 18 ივლისს სტამბოლიდამ მიღებული:

„ამას წინათ დარწმუნებოთ ამბობდნენ აქ, რომ ხონთქარს განზრახვა მაქვსო, რომ „მწვანე (მაჰმადის) დროშა გამოკაზინოსო და მაშინ მთელი ქვეყნის მაჰმადიანები ფეხზე უნდა იდგნენ რუსის წინააღმდეგ წავიდნენო.“

„ახლა ამბობენ, ვითომც ხონთქარი აღარ აპირებს ამ დროშის გამოფენას, რადგან ი გლისას სტამბოლიელ ელჩა ლეიარდს დაურწმუნებია, რომ როცა გაჭირების დღე მოაწევს, ინგლისი უმკველად მოეხმარება ოსმალოეთსაო.“

მცირე აზიელი კორტესპონდენტი ლონდონის გაზეთის „Times“-ისა შემდეგ ამბავს იწერება 8 ივლისს ოსმალოს ბანაკიდან ხაჯი-მალიდამ:

„მუშინ ორი ცხენოსანი ჯარის ბრძოლა იყო აქეთენ. 2,000 ჩერქეზი დაეცა დრაგუნის პოლკს, რამელც წინ მოუძლოდა ოსმალოს გამაგრებულ ალაგების დასათვალისწინებლად წამოსულს რუსის ჯარს. უცხელი შეტაკება იყო; არც ერთ მხარეს არ დარჩა გამარჯვება. 22 კაცი მოკლეს ჩერქესებისა და 27 დასჭრეს.“

„ჭურთები სცარცვენ ხალხს მანის ახლო-მახლო ალაგებში.“

„ჩაიკ-ფაშისა და რეის-ანმედ-ფაშის არმიებს სურსათი ეჭარებათ და არზრუმიდამ მოითხოვეს.“

„მუხთარ-ფაშის უმთავრესი ძალა ამ ქაზად ჭურუქ-ღარის სამხრეთით არის დაბანაკებული, ამალღებულ ადგილებზე. რუსებს ორი ბანაკი აქეთ ჭურუქ-ღარაში და ერთიც შარალ-კულფაში. 19 გერასზედ მოშორებით ჩვენგან.“

„ყოველ დღე ოსმალებს ახალი ჯარები მოდისთ. ოლოთისის გზის დასაცველად მუხთარ-ფაშამ ჯარები გაგზავნა.“

„ოსმალოს ჯარები მარჯვედ და მხნეთ არიან. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ექიმები არა მყავთ და წამლები; აქლიათ საავითმყოფოებიც ძალიან ცუდათ არის გამართული.“

„შამილის შეიხი თავის ცხენოსან ჯარით, მოვიდა აქ დღეს ბაიანებითად.“

რუსული გაზეთას „Голос“-ის პლექანდრაპოლელი კორრესპონდენტი იწერება შემდეგ:

„რუსის დასაწყისათანავე ოსმალების წინააღმდეგ მცირე აზიაში გამოვიდა ჩვენი ოთხი უმთავრესი ატრიალი: პლექსანდრაპოლის, მრეენის, ჩიონის და ახალციხის.

„პლექსანდრაპოლის ჯარი ღენ. აღიუტანტი ლორის-მელიქოვის წინამძღვარობის ქვეშ თავის უმთავრეს ძალით და ყველა ზარბაზნებით ამ ქაშად წავიდა მრეენის სიმაგრეში პლექსანდრაპოლისაკენ. იმას ჰყავს თავის წინააღმდეგ მუხთარ-ფაშა 40,000 ჯარით. ოსმალოს ჯარი დგას შარისს აქეთა მხარეს და თანდათან უფრო ამაგრებენ შარისს სიმაგრეს. ჩვენთანაც გამოგზავნილა რუსეთიდან მოსაშველებლად ცხენოსანი ჯარი, რომელიც კიდევ მოვიდა და მალე მოველით კიდევ არტილერიას და ქვევითა ჯარს. ჩვენი ტელეგრაფი მართა მურუქ-ქარამდინ მუშაობს.

სხვა-და-სხვა ცნობებიდან სჩანს რომ ოსმალებს აქეთ პლანი მჩმიძინის მახრამი შესვლისა აბდუხანმანსა და შულფის შუა. ამის გარდა ოსმალები თავიანთ ჯარს ამაგრებენ ხაჯი-მალქთან. ჩვენები კი დგანან შლუზლისა და შულფერანის შუა. იმ განზრახვით რომ დაუშალოთ ოსმალებს ბათუმიდამ ოსურგეთში გადასვლა, ჩვენ ვამაგრებთ სამტრედიას.

მრეენის ატრიალმა ყველაზე მომეტებული შრომა გასწია; ეს ჯარი დგას ეხლა იგდირთან, ჩინგილის მთების იქით მხარეზე. ია დაქანცულია ბევრის მთებზე გადასვლით და საქმელ-სასმლის უქონლობით, მეტათ ბაიაზეთის ციტადელში მყოფითა კარგა ხანი მოუწოდებთ სულის მოსაბრუნებლად. ამავე ჯარს კიდევ მოვლის შეტაკება ოსმალების ბაზიზუზუკებთან და ქურთებთან

ახალციხის ატრიალი დგას არტანში ის სულ ყველა ჯართან მოშორებულია. ღერვი-ფაშა 20 ბატალიონით მიდის არტანზე. არტანიდამ ახალციხეზე გადასვლა ძალიან გაუჭირდებთ ჩვენ ჯარს აჭარლების აჯანყების მიზეზით. აჭარლების წინააღმდეგ პოლკ. ვოჟდაკია.

ჩიონის ატრიალი დგას მუხა-მსტატესთან, მიატოვეს სამება და ხუცუბანი ოსმალები სულ წინ მიდიან იმ მშვენიერ ვაკე გზით, რომელიც ჩვენმა ჯარებმა გააკეთეს და მიუტოვეს ოსმალებს.

ჩიონის ატრიალის ერთი ნაწილი ქობულეთის ჯარი, არის ღენ. ღინიზგოვის წინამძღოლობის ქვეშ, რომელიმაც არ მიუშვა მტერი ნაკოლაეცკიში გამოსასვლელად. ქობულეთის ჯარის ნაწილში ირიცხება შოთიცი, რომელიც თუმცა გამაგრებულია, მაგრამ მაინც შიში აქვს.

სახუმის ატრიალი, რომელიც შრავჩენკოს წინამძღოლობის ქვეშ იყო და ეხლა ღენ. ალხაზოვს აქვს მინდობილი, ძალიან მამაცად იქცევა. მდ. ილორთან და მოქეთან რამდენიმეჯერ გაიმარჯვეს

ჩვენმა ჯარებმა. ამბობენ, რომ აქ ოსმალოებსა და ახაზებს შუა განხეთქილება არისო.

„თი ამ მდგომარეობაში არის ჩვენში ომის საქმე. ახლა ყველანი დარწმუნებული არიან აქ, რომამ ივლისის თვის განმავლობაში ჩვენს ბრძოლის ველზე შესანიშნავი არა მოხდება-რაო; ორივე მებრძოლნი მხოლოდ იმას ეცდებიანო, რომ ახალი ჯარები შეიმატონ და საკმაო საომარი მასალები და სურსათი მოამზადონ შემდეგ შეტაკებისათვის.“

### მხროპის ბრძოლის ველიდან

სამჯერ დაეცნენ რუსის ჯარები პლევნას ასაღებად: 18-ს, 19-სა და 20 ამ თვის. ამ ციხეში ოსმალოს ჯარი სულ 28,000 კაცი ყოფილა, რუსებს კი არ სკოდნიათ ეს და პირველ დღეს 6,000 კაცით მიდგომიან ამ ციხე-ქალაქს, მაგრამ დამარცხებული გამობრუნებულან. მეორე დღეს რუსებს ახალი ჯარი მოუხმიათ და 27,000 კაცით დასცემიან; მაგრამ ისევ დიდის ზიანით უკან დაბრუნებულან. ამ ბრძოლის დროს, დიდძალი ხალხის დახოცის გარდა, ოსმალებს სამი ზარბაზანი წაურთმევიათ რუსებისათვის.

ამბობენ, რომ მიტხად-ფაშა სრულებით არ გამოუხმია ხონთქარს სტამბოლში. იმას მინდობილი აქვს თურმე სულთანისაგან, რომ აესტრისა და ინგლისის მმართველობას მოელაპარაკოს ახლანდელი ომიანობის თაობაზედ.

ღენაის არმიის ახალი მთავარ-სარდალი მეჰმედ-ალი-ფაშა 60,000 კაცით წასულა ტირნოვოსაკენ იმ განზრახვით, რომ ეს ქალაქი ისევ წაართვას რუსებს.

## საქართველო

### ღიუზი

\* \* \* ახალციხიდან გვატყობინებენ, რომ რაც ომიანობა დაიწყო, მას აქეთ აქაური ვაჭრები ძალიან დიდ მოგებაში არიანო, რადგან თავის საქონლითა და ხორაგეულით მისდევენ უკან ჯარებსა და ბევრს ასაღებენო. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს აჭარლებისაგან შიში არისო და ამის გამო ახლახან რომ ვაჭრები წაიღენენ, ისევ თავიანთ საქონლით უკან დაბრუნდნენო, ატრიალამდინ ვერ გაუბედნიაო მისვლაო....

საზოგადოთ ამბობენ, რომ აჭარლებს ამ ქაშად კიდევ არტანში გამაგრებული ჩვენი ჯარი იჭერებს, თორემ თუ ერთი ჩვენმა ჯარმა არტანიდამ უკან დაიწია და ეს ქალაქი მიატოვა, საფიქრებელიაო, რომ აჭარლები თვითონ ახალციხესაც დაეცნენო....

\* \* \* მრეენისაკენ, სოფლებში, სოფლის ვართავეტები ეკლესიებში ქალაქობენ და სხვა ყოველ ღონისძიებას ხმარობენ თურმე, რომ ოსმალოს სომხეთიდან გადმოსახლებულ სომხებისათვის რაც შეიძლება მომეტებული ფული მოაგროვონ. აქაური სომხური ვაჭრები გვარწმუნებენ, რომ ამ მიზნისათვის ქალაქში და მრეენისაკენაც დიდძალი ფული მოგროვდლა და ზოგი ჩაბარეს ღენ.-ლეიტ. ტერ-ლუკასოვს და ზოგს თან-და-თან, მოგროვებისათანავე, უგზავნიანო.

\* \* \* ამ დღეებში მოგვივიდა ჩვენ დ. შვირილიდამ შემდეგი ამბავი:

„ბუშინ-ლამ, 21 ივლისს, შუალამის დროს ვილაცა ავაზაკმა ერთი დიდი უშველებელი ქვა ესროლა ჩვენი სულის სახლის ფანჯარას. შანჯარა შეამტვრია ქვამ და დაცა პირ-და-პირ იქ, სადაც სუღია და მისი ცოლი წოლილან ლოგინზე. ბედი მათი, რომ ქვა მათ არ მოხვედრია, თორემ ერთსა და ერთს უთუოთ მოკლავდა.

„ამისთანა საქმეც ერთი აქაური უფხდის ნაჩაღნიკსაც მოუვიდა ამას წინეთ, როდესაც უფხდის სამმართველო სოფ. ღილიკაურში იყო; ეხლა მომრიგებელ მოსამართლეს დავმართა.

„ჩვენი სუღია სრულებით გარეთ არ გამოდის; რალაცა ცუდი ხმებია დაყრილი და ეშინია; მაგრამ სახლშიაც რომ არ აძლევენ მოსვენებას!

„მიკვირს, მთავრობა რატომ არ აქცევს ყურადღებას, რომ სუღია და მისი საზოგადოება ასე ცუდს განწყობაში არიან ერ-თმანეთ შორის. რათ მინდა იმისთანა ადგილას სუღიობა, თუ გარეთ ვერ გამოვალ ხალხის შიშით? ანუ რა თვალით უნდა უყურებდეს ხალხი ამისთანა სულს? ამ შემთხვევაში ორივე მხარე შესაბრალოსი არის: სუღიცი და ხალხიც.

„წარმოიდგანეთ: სწევხართ ღამე შინ მოსვენებით და როდესაც ტკბილ ძილში ბრძანდებით, უშველებელი ქვა გეცემათ თავზე! ოსმალოების სამშლდარზე ჰგონია შენი თავი, სადაც ყუმბარები მოსვენებას არ გაძლევენ! ეს ოხერი ადგილი ციხის-ძირი ხომ არ არის?!...

„როგორც ამბობენ, ძლიერ შემინებულან თურმე სუღია და მისი ცოლი. მხლა მრთელი ღამე სულ სანთლები უნთითათ სახლში და ყარაულიც უდგიათ.“

### „ღროპის“ კორრესპონდენცია

საინფილოზბან, 19 ივლისს. ამ ქაშად ზაქართალის მახრამი შეურგებელი მშვიდობიანობა არის. არა ვითარი სარწმუნოებითი ფანატიზმი არ აღწევებს ჩვენს გარე შემოტყეპულს მაჰმადიანებს. საკვირველს გულადობას იჩენენ ინგილო-ქრისტიანები; როცა თითქმის მთელი ძახეთი შიშით ცახცახებდა, ინგი-

ლოები ყურსაც არ იბერტყავდნენ, პირიქით კიდევ უხაროდან; აი რისთვის: უწინ ლაშქრიანობის დროს ცხენოსანი ყაჩაღი ლეკები დასტებით დაეცემოდნენ ხოლმე რომელიმე ინგილოების სოფელს; ამ დროს იგინი ჩვეულებრივად ცხენებს მიატოვებდნენ სადმე ახლო ტყეში და რამდენიმე თავიანთგანს აყენებდნენ მათთან ყარაულად და სხვები კი მიდიოდნენ „დავლაზედ“ (დასაბეველად). ამ დროს ინგილოები ჯერ მათ ჰპარავდნენ ცხენებს და მერმე უკრავდნენ გზას „დავლაზედ“ ნანახულ ყაჩაღებს მოტაცული ნივთებით დატვირთულებს. ამ გვარად მათ ხოცავდნენ და ნივთებსა და ცხენებს იჩემებდნენ. „თუ ჩვენშიდაც ლაშქრიანობა იქმნაო, ამბობენ მომეტებული ინგილოები, ჩვენთვის ეს დროც მოვაო... მაგრამ დიდი წინასწარმეტყველობა არ უნდა, რომ დარწმუნებით ვსტკეათ, რომ იმისთანა დრო ინგილოებისათვის აღარ მოვა.

მართალია, ის დრო ჩვენთვის დიდი ტანჯვა და ვაივაგლახობა იყო, მაგრამ „იმ დალოცვილ დროს,“ როგორც წლოვანნი მოხუცი იტყვიან, ინგილოები უკრო გამბედავნი, გულადნი, მარდნი და მხიარულ პირსახოვანნი იყვნენ, ვინემ ესლა არიან. უცხო კაცმა რომ ნახოს ახლა ჩვენი ჯამაათი, უთოოთ მას მათხოვარების კრებას დაამსგავსებს. მათზედ ვერას ნახავთ არამც თუ ახალს არამედ იმისთანასა რის ჩაცმაც კვლავ შეიძლებოდა. ჰუდ გაწეწილ ნაშირის ახლოზის და პერანგის ძონძებში განხეულს გლესს ხშირად მუცელიც კი უჩანს! მრთის სიტყვით სამწუხარო სურათს წარმოადგენს ჩვენებური გლესები.

მიზეზი?—მოგახსენებთ. დიდი ცოდვა არის, რომ კაცმა სტკეას—აქაური გლესები ზარმაცნი არიანო; მათი ხელების გულები აქლემის მკერდზედ უარესია. დედაკაცებიც მუშაობაში კაცებს არ ჩამოუვარდებიან. ბუნებაც ყოველ გვარ ნაყოფიერებით მდიდარია, მაგრამ მაინც-და-მაინც ღარიბნი და ქესიბნი არიან ჩვენი გლესები. რომ შეიძლებოდა ინგილო გლესების მდგომარეობის კარგათ წარმოადგენა, ავილოთ მისი ერთი წლის დაახლოებითი შემოსავალი და გასავალი, და განვიხილოთ.

შემოსავალი: თითქმის ყოველი ჩვენებური (ინგილო) გლესი სარჩოს გარდა იმეტებს და ჰყილის წელიწადში უკანასკნელი ნაღდათ რომ ავილოთ 30—40 მანეთის პურს, 15 მანეთის ფეტვს, ამდენსვე ქერს და 25 მანეთის ბრინჯსა და ჩალთუქს; 70—80 მანეთის ღვინო არაყს. ახლა ქალების ნაშრომიდან იყიდება უკანასკნელი 60 მანეთის

პარკი ან აბრეშუმი, 20 მანეთი თხილი და კაკალი და 10 მანეთის ვაშლი, შინდლი, ქლიავი, თამბაქო, ხახვი და ლობიო—ყველას ერთბაშად. ასე, შემოსავლით ჩვენებური გლესი, საშუალო რიცხვით, ნაღდათ იღებს წელიწადში 245 მანეთს.

ზასავალი: ჩვენებურ გლესს წელიწადში ეხარჯება: 15 მანეთი შტრაფ-ჯარიმაში ერთმევა, 20 მანეთი სახელმწიფო ხარჯში და ბეგარაში ერთმევა, 40 მანეთს მოჯამაგირეს, მეძროხეს და სხვა მესაქმეებს აძლევს; 25 მანეთისას ტანთსაცმელს ფარხას ჰყიდულობს და წელიწადში აქამომდე 10 მანეთიც ქრთამში ეხარჯებოდა. ამ გვარად წელიწადში ჩვენებურ გლესს აუცილებელად ეხარჯება 95 მანეთი. რადგანაც დაქორწინება შეილისა და სიკვდილი იშვიათად ხდება, ამის გამო გლესს ყოველ წლით უნდა ხელში ჩიებოდეს 150 მანეთი.

მაგრამ ამ გზით ჯერ-ჯერობით ჩვენში არავინ არ გამდიდრებულა, იმიტომ რომ როცა მძიმე წელიწადი დაადგება გლესს, მითი ძალიან კარგათ სარგებლობენ ჩვენი ვაჭრები. საკმაო არის რომ მათ გლესებზედ ერთხელ შეზომონ ცოტაც იყოს ვალი, მას შემდეგ ათასიც რომ იფხატუნოს გლესმა, ვერ შეუძლიან გამოძრომა მის უღლისგან. შევლას, რასაც კი გლესი მატულობს ვალში მისაცემელად, მის დამვალვებს თითქმის უფასოდ მიაქვს ვალში. მრთის ატყუებს ფასში: ნახევარ ფასად ყიდულობს; მეორეს წონაში... მერმე აქაური საწონები! მთელი ძახის ბაზარი რომ მოიაროთ, ერთს არა-მომატყუარ საწონს და სარწყავს ვერ იბოკნით; ჯაჭვით გაკეთებული საწონების პოვნა შეუძლებელია: ყველანი თასმებით და თოკებით არიან გაკეთებულნი, და მესამეც ანგარიშში ატყუებენ გლესებს. მსორი წელიწადი არის აქაური ვაჭრები პარკს გოდრებით და კასრებით სწყავენ და ისე მიაქვთ, მერმე კი აკლებენ წონის ანგარიშად. მათ სიმურტლეს თითქმის ყველა გლესთაგანნი მიხედნენ და როცა ეუბნებოდნენ: „ჩვენც შეგვიბრალეთ, ცოდვანი ვართ; ჩვენს ნამუშევარს მაგრე პაჩაფულათ ნუ იტაცებთ!“ ამის გამგონე ვაჭარი არტყამს საწონს ან გოდორს გლესის წინ და ამ გვარ სიტყვებით იქადის: „მი, ბიჭო, ცხენი მომიყვანე! მე მივალ თქვენზედ საჩივლელად. მე თქვენთვის ნაღდი ფული მომიტია, თქვენ მადლობის მაგიერ მაგრე ლაპარაკობთ? პარკი, ენახოთ ვის რა დააკლდება! ლეთის წყალობით, თუ ცოცხალი ვიქნები, ხვალ მე მოვიტან ბეიბუთბევისკან“ ბრძანებას და მაშინ და-

გარბევთ. ენახოთ, როგორ მიხედავთ მოცემულ ნაღდ ფულზედ უარეს ტყვეს! ნეტარ-ხსენებული ბეიბუთბევიც მსხუტე მებს ვახლდათ და ძალიანაც იგი სწყალობდა მათ... მს კარგათ იცოდნენ გლესებმა და ილაჯ-გაწყვეტილნი იმ ფასად და იმ ნაირად ურიგდებოდნენ ზოკს, როგორც მას სურდა.

ამ გვარ მოქმედებამ ის შედეგი იქონია, რომ ბევრი გლესების ოჯახობა დაიფანტა, რადგან მათი მამულები დაიჭირეს სომხებმა და სახლის პატრონები გამოჰყარეს სახლებიდან. ამ ჟამად ძახში იშვიათი ოჯახია, რომელსაც ზოკ-სომხის არ მართებდეს 400 მანეთიდან მოკიდებული 600-მდე ვალი. ამ ვალებში ჩავარდნის უმთავრესი მიზეზი საშინლად დიდი სარგებლის ატანა არის არცერთი ზოკ-სომხთაგანი 20% ნაკლებზედ არ ჯერდება, ზოგნი ოც-და-ხუთსაც ართმევენ.

ამნაირად, თუ ავიღეთ ვალები ინგილოებისა და ვარაუდი შევადგინოთ შემოსავლისა გასავალთან; მაშინ აღვილად დაინახავთ, რომ ინგილოები თავის ღლეში ვერ მოიშორებენ ვალებს თავიდან.

ამ ახლანდელი ინგილოების მდგომარეობაში გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის დაარსება ძალიან სასარგებლო იქნებოდა; მაგრამ ეს ამჟამად ჩვენში შეუძლებელია, რადგან კაცები არა გვეყვანან, რომ შეეძლოსთ ამ საქმის წარმოება, და ვინც კი არიან, ისინიც საინგილოს მოშორებულან.

ჩვენი მაზრის ახალი უფროსი და უჩაატკის უფროსი ძალიან პატიოსან და გლესებისთვის გულ-შემატკივარ კაცებად იჩენენ თავს; ამათ ორივეს ძალიან სურთ გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის დაარსება. ენახოთ—რა ნაირად აღასრულებენ თავიანთ სურვილს. უჩაატკის უფროსმა, ვალების გამო, მოვაქრე სომხები ძალიან შეაშინა და გლესები კი გაახარა...

## ნარკვი

ზორის უეზდის სოფ. ძეგვიდამ შემდეგ სანარეო ამბავს გვწერს ჩვენი კორესპონდენტი:

„შუშინასწინ, 18 ივლისს, აქაურ ზომხის მცხოვრებელ გლესს (ბიორგი სოლოლაშვილს), თავის კარის კალოზე დაძინების წინ, ხო ახლო დაუბაშს თავის თან და ყოველ შემთხვევისათვის გვერდითაც ცუდი მოუღვია. შუალამხას მსვენებულ გლესს ხობს უჩა-უფრე გამოუღვიძნია, ხო მგლათ კი მოსჩვენებია, მსწრაფლად ცუდი დაუთხლებია თავში და იქვე ფეხები გაუშლივინებია...“

მის ჩვენ უზღვის ქალაქში, რომლის მცხოვრებნი, როგორც ქვემო-მოყვანილიდამ დაწმუნდებით, გეოგრაფიის ცოდნაში განვითარებული არ ყოფილან, ჩამოსულა ქალაქადამ „მოამბე“ და ვილკასთვის უთქვამს, რომ რუსები დუნაზე გადასვენდნენ.

მითი ამ ამბის გამგონი იმ წამვე გამოქვეულა ბაზარში და არ ვიცოდა—ცუდით გაუზიან, თუ ხუმრობით, ვინც არ შეხვედრია გზაზე უხარებია:

— რუსებს დუნაი დაუწვავთ! მაგმარჯვეთ!  
რუსებს დუნაი გადაუწვავთ!?

\* \*

მითმა კაცმა იხუმრა ამას წინათ ჩვენს ქალაქში, რომ, რადგან დღეს თუ ხვალ ოსმალოები თავიანთი ჯავშნიან ხომალდებით მოადგებიან, შირიმის ნახევარ-კუნძულს, ყუბარეებით გააფუჭებენ იქაურ ქალაქებს და ყველაფერს აიკლდებნენ და რადგან რუსის მთავრობას ამ ადგილის დაცვა ვერ შეუძლიან, ამის გამო გადაწყვიტესო, რომ მოსკოვან სულ ეს ნახევარ-კუნძული და ზღვაში გაუშვანო.

მეორე დღეს ვისაც არ ნახავდი ქალაქში წვირილ ვაჭრებსა და უბრალო ხალხს, ყველა ამბობდა:

— შირიმი მოუტრიათ რუსებს, უკრავთ ხელი და ზღვაში შეუტრებიათ. ახლა ქალაქიან-სოფლებიანთ დატივტივობს თურმე ზღვში!

ამბობენ, რომ ამის გამო იმ დღეში ჩვენს ქალაქში შეჩარიც გაძვირდა...

\* \*

ამაზე უკეთეს მაგალითს გეოგრაფიის ცოდნისს წარმოგიდგენს ჩვენი მეცნიერების ორლანო — „ივერია“, რომლის უკანასკნელს (21) ნომერში შემდეგი სტრიქონებია დაბეჭდილია:

„შორსი მომდინარეობს ორმოც-დაათის ვერსის სიგრძეზე და სიგანე აქვს ოცდაათი და მსამოც ვერსამდინ. ამ გვარად პლაზანზე და რიონზე (200 ვერსი) უფრო გრძელია და სიგანე თითქმის იგივე აქვს, რაც პანკისა და შიზის.“

# განცხადებანი

**გამოცდილი და განათლებული მალი, რომელმაც იცის რუსული, ფრანგული, ინგლისური და ნემენცური, აძლევს უროკებს იავ ფასათ.**

მსურველს ამ ქალის ნახვისა, შეუძლიან მიმართოს მალამ ძანონის. ტეტრალოვის სახლებში ოკრაქსის ქუჩაზე.

# ქილილა და მანა,

თარგმნილი სპარსულიდამ ქართულ ენაზედ მეფე ვახტანგისაგან და გალექსილი საბა სულხან ორბელიანისაგან. სრულათ არის დაწერილი და ყდაში ჩასმული. ფასის გაგება შეიძლება მკეთილმე ხელაძის სტამბაში.

# „კეკეტი“

სარძეო სარდაფს „კეკეტი“, ყოველ დღე ისყიდება: კარაქი, ნაღები, მებტა, ნატეორო გიყველი, უღუღარი და ადუღებული რძე და მაწონი.

ამ ზაფხულს მსურველთა მოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, იყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაინიკებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დაინიკნენ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „კეკეტი“ იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.

ძალისამებრ კონტრაქტისა, რომლითაც შევეკარ შე თფილისის ძალაქის მამიგობას, ვიენისს ამა 1877 წელსა, მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხარჯისა, რომელიც ერთმევის საზღვი-

სათვის, მსუბუქი დრო შევებით, მანკონებითა და მიიმე საქონლის ჩადებითა, პოვოსკებითა და თუ ფურგუნებითა.

ამ საგნისათვის მაქვს ნაქირავები კანტორა ერევნის მეიდანზედ, პლავერლოვის სახლში სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ, მეჩანსკის უბრავას გვერდით.

შმაბლელად ესთხოვე ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიახი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწყვეტული ფული. ფულის მიღება და ბლიახის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დილით 8 საათიდან ვიდრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. ამისთვის მაქვს პატივი გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

მოიჯარად სტეფან ლოვლაბევი

# თფილისის სამაჟნალო

(4-ს აპრილის სახლობად)

მრევის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღისვე 10 საათამდინ.

მრშაბათს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: მერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

მთშაბათს: ლისიცივი — შინაგანი ავათმყოფ., მიუნარიანტი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: მერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცივი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულისათვის.

შაბათს: მერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფ., მიუნარიანტი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი — თვალის ავათმყოფობისა.

რკ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18			მცი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 24 ივლისს		თფილისი, 27 ივლისს	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ჭუთაისს, შოთს	1	მითი მანეთი ღირს:		შქე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 20
ბორი	11 58	9 43	2 40	1 23	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქეილი წითელი.	1
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსა, მოსკოვს	2	პარიუში 262 სანტიმი.	81	შერი ფუთი.	70
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, პარშავას	2	სკოტტი (სარგებლობისთვის)	71 1/2	ბაზა მრევისა, ფუთი	7
შვირთა	5 49		5 81	3 23	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი.	8 50
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებიანი (პირველისხენი)	207	მატყლი თუშური ფთ.	6
სამტრედიო	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე ხენსი)	207 50	— მარკამისა ფთ.	3 80
ახ.-სენაკი			8 57	4 76	უოზბა		ბირაოს ფუტკლოები:		აბრეშუმი ნუხური სტ.	2 20
ფოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამხდვარ გრეთ, მუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე		თფილ. საახნ. ბანკისა.		ძონი, ფუთი.	5 50
ფოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკის (5 1/2)	83	ძონის სათელი ფუთი.	6 20
ახ.-სენაკი			1 18	66	მსურ. — პარასკ. და ორშ. მახვთს —		მოსკოვის (5%)	90 50	სტეარნის სათელი, ფ.	12
სამტრედიო	11 16		2 6	1 14	სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		აკციები:		ხორცი ძონისა, ლიტ.	54
რიონი	12 43		3 4	1 69	თფილისისა და შოთაისკენ — ყოველ		მდებს სავაჭრო ბანკის	158	— ცხვისა, ლიტრა	54
შვირთა	1 18		3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მსურგეთს —		ფოთი-თფილ. რკინ. გზის		სპირტი, გრადუსი	12
სურამი	5 12		1 10	5 33	ორშ. და პარასკ.		შავი ზღვის ცეცხ. გემების	46 1/2	შაქარი, ბროც. ფუთი	7 80
ხაშური	5 39		1 37	5 84	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	ძვეკონს და მენკურის.	20 1/2	— ფხვნილი ფუთი	7 50
ბორი	7 5		4 8	7 36	და სამხდვარ გარეთ:		პირგ. საზღვევ. საზოგ.	7 35 50	შავი გრადლი, ფუთი	25
მცხეთა	8 50		6 59	9 8 5	ლია წიგნის	4	პეტერბ. საზღვევ. საზ.	2 35 50	წეთი ქუჩაჯითისა ფუთ.	9
თფილისი	9 31		7 56	9 75	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	მოსკოვის საზღვევ. საზ.	2 68	ოქრო 1/2 იმპერიალი.	7 97